

ლიტერატურული ხელობა



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დამატება
№5, 28 მაისი, სამშაბათი, 2019 წელი

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს

არსთა გამრიგებ არ გაიმეტოს,
ვინც სამყაროთა თვალის ჩინია.
აღამიანო, შენდა იმედად
დაღადებს სიტყვა "ნუ გეშინია".

გეცამ ძემულან არ მოგიკვეთა,
ყოველი არსი შენთვის ხმიანობს,
ვაგლახად სასო არ წარიკვეთო,
ვინძლო, სელი არ დაიგიანო...

ვათერაკს მკერდით გადაუდევი,
ორმავთ იმედი არ წარჟორცო,
აღამიანო, იყავ ჟღრევე,
იყავ უშიში, ვითა ჟეროცო!


სტიქიონების ველურ თარეშში
სელის სიმტკიცე გმართებს მალული,
რაღაც ვაჟკაცურ გვეხის გარეშე,
არ არის ქვეყნად არც სიყვარული.



როცა წინასწარ თქმული ახდება,
როცა სამყარო ვაფარს აიმლის,
განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები,—
როგორ იცოდო პირმარ ქარიშხლის!

ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი,
თორემ ღინება წაგლეპს, გამრიყავს,
სტიქის რისხვას თუ გაექცევი,
რაღას ღააკლებ ცხოვრების გრიგალს!

უფები რწმენით შენ არ წაწყდები,
ღააცხორბ ღელვას, ღათრგუნავ ქარებს,
საღ თანაგრძობა ვერას გახდება,—
იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს!..



შერიძე გიორგიიძე



3 ს თ ზ ა

აცე, ვირო!..



ნინო სვანიძე

„აცე, ვირო, აცე, შე სამგლევ, შენააა!“ – შეჰყვირა და გამეტებით მოუქნია სახრე. მასზე ორჯერ მძიმე, საპალნე მოკიდებულ ვირს, მერამდენედ აეწვა ისედაც შიმშილისგან ჩაცვენილი ფერდები. შეძლებისდაგვარად, ნაბიჯს აუჩქარა, თვითონაც ერთი სული ჰქონდა, სწრაფად მისულიყო სახლამდე, ტყვიასავით მძიმე ტვირთი ჩამოეხსნა და დაღლილ-დაქანცულს, მთელი დღის მშეერს და ნაჯაფარს დაესვენა... ვირი ფიქრებში წავიდა, წინა პატრონი გაახსნდა.

„აფსუს, რა კაცი იყო!..“ პირველად

რომ დაინახა პიჯაკსა და ჰალსტუხში გამოწყობილი, იფიქრა – ამას ჩემთან რა საქმე უნდა ჰქონდესო, მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა: თურმე, ქალაქიდან ჩამოსულიყო სოფლებსა და ტყე-ლრები გზების გასაყვანად. ყველას ეგონა, მეცნიერულ ხელსაწყობს გამოიყენებდა იმის გამოსათვლელად, სად უნდა გაჭრილიყო გზა. კაცმა კი თქვა – ერთი კარგი ვირი მაყიდინეთო. აი, სწორედ მაშინ მიიყვანეს მასთან. შეხედა თუ არა ვირს კაცმა, გაუღიმა, ფაფარზე ხელი გადაუსვა, აბა, ჩემო ჩოკინავ, დღეის შემდეგ მე და შენ მეგობრები უნდა ვიყოთ, შენი დიდი იმედი მაქვს და არ მიღალატოო – მიეხმატებილა ვირს.

მეორე დილიდანვე, მზე ჯერ არ იყო ამოწვერილი, კაცი რომ ადგა, სამუშაოდ გამოეწყო, ვირს თივა დაუყარა, წყალი დაუდგა, მიეფერა და ყურში ჩასჩურჩულა:

– დღეიდან ვიწყებთ გზის გაყვანას, მე ვიცი, რომ შენ ყველაზე სწორი გზის მოძებნა შეგიძლია, საითაც შენ წახვალ, მეც იმ ადგილებს მოვინიშნავო. იმგვარი სითბო მოჰვევარა ვირს ახალმა პატრონმა, როგორც პატარაობისას, დედა ქორინს რომ ულოკავდა ხოლმე.

მიდიოდა ვირი, კაცი უკან მიჰყვებოდა და გზადაგზა ნიშნულებს აკეთებდა. საკმაოდ დიდი გზა გაიარეს. მზე ზენიტს უახლოვდებოდა. გვარიანად ჩამოცხა. ვირს ოფლი ჩამოსდიოდა, მაგრამ ერთი წუთით არ უფიქრია ნაბიჯის შენელება, რადგან მისი სჯეროდათ, მას ენდობოდნენ და ისიც, მზად იყო, ბოლომდე გაემართლებინა ნდობა. ფიქრობდა, ცდილობდა, რამე არ შეშლოდა და წინ მიიწვედა, თან უკვირდა, რატომ არ სარგებლობდა კაცი მისით? უნდოდა ეთქვა:

– მოდი, ზურგზე შემაჯექი, მიჩვეული ვარ უფრო მეტი ტვირთის ზიდვასო, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო, მხოლოდ – ფიქრი და ისიც ფიქრობდა და ფიქრობდა...

სიარულში პატარა მდინარეს მიადგნენ. კაცმა შარვლის ტოტები აკაპინა; ნაპირს რომ მიუახლოვდნენ, აბგიდან წყლით სავსე ჭურჭელი ამოილო, წყალი მზეს ისე გაეცხელებინა, ჩაის დასალევად უფრო გამოდგებოდა. კაცმა მდინარეში ჩაღვარა გამთბარი წყალი, ჭურჭელი ცივი წყლით აავსო და ვირს გადასხა ჯერ თავზე, მერე ზურგზე.

„ჩემო ჩოკინა, აქ, ამ ადგილზე, ჩვენ პატარა, ლამაზ ხიდს ავაგებთ და ნახავ, რამდენი ადამიანი გვეტყვის მადლობას. ახლა კი, ცოტა დავისვენოთ“ – ეჩურჩულებოდა კაცი თანამგზავრს. შემდეგ ვირი მდინარის პირას ხასხასა ბალაზზე მიუშვა, თვითონ ხის ჩრდილქვეშ ცოტა წაიხემსა და დასასვენებლად წამოწვა...

საქმე ბევრი იყო, მაგრამ ხალისით მუშაობდა ისიც და პატრონიც. ძალიან ჩეარობდნენ, ვიდრე აცივდებოდა, უნდა მოესწროთ გზის დამთავრება... ვირის ბედნიერება რამდენიმე თვეს გაგრძელდა.

... „ეჱ, ნეტა იმ დროს!“ – გაიფიქრა ვირმა. დამშვიდობების წუთები გაახსენდა: კაცმა თავისი სამუშაო დაამთავრა, პიჯაკი ჩაიცვა, ჰალსტუხი გაიკეთა, მის წასაყვანად მოსულ მანქანაში ბარგი ჩააწყო, ერთი წუთით დამელოდეთო – უთხრა მძლოლს. მიხოს ხელი მოჰკიდა, ბაგაზე მიბჟულ ვირთან მიიყვანა.

– აბა მიხო, შენ იცი, დღეიდან შენ იქნები ამის პატრონი, იცოდე, სახრე არ გადაუჭირო, ეს ვირი კი არა, ბევრ ადამიანზე ჭკვიანი არსება, ყველაფერი ესმისო, მერე ვირს მოუთათუნა ხელი, მიეფერა, შუბლზე აკოცა – დიდი მადლობა დაუზოგავი შრომისთვის, იმ ერთგულებისთვის, რაც შენ გამოიჩინე, შენ რომ არ დამხმარებოდი, მარტო ვერაფერს გავხდებოდი, და თვალზე ცრემლი ჩამოუგორდა კაცს. ამ დროს, მანქანის სიგნალის ხმაც გაისმა და კაცი ჩეარი ნაბიჯით გავიდა ბაგიდან. გაკვირვებულმა მიხომ თვალი გააყოლა, ვერ მიხვდა,

რა ხდებოდა, მერე ხელის მტევნები გადაატრიალ-გადმოატრიალა და ისე დატოვა ბაგა, არც კი შეუმჩნევის ვირის სევდიანი თვალებიდან ლვარად მომდინარე ცრემლები...

იმ დღის შემდეგ მიხოს მისალმებაც სახრე იყო, – დამშვიდობებაც, ვირიც ითმენდა. რამდენიც უნდა ერტყა მიხოს, ერთი ცრემლი არ ჩამოუვარდებოდა თვალიდან, ითმენდა ახალი პატრონის მოლოდინში. მის გარდა, არავინ იცოდა, ვის ელოდა...

ვირი ისევ გაუყვა ფიქრებს...

ერთხელ, სოფლის თავკაცმა უცხო კაცი მიიყვანა მასთან

– აი, ჩემო ბატონო, ეს არის, თუ გამოგადგებათო. მოსულმა ახედ-დახედა ვირს, – გამომადგებაო, – თქვა, ოლონდ სანამ გადალებები არ დამთავრდება, ვირი ჩემთან უნდა იყოს.

რამდენიმე დღეში კინოს გადალება დაინწყო.

„რას არ მოესწრები“ – ფიქრობდა ვირი — „კინოშიც თუ გადამიღებდნენ, ამას როგორ ვიფიქრებდი... ასე დაიწყო მეტად მხიარული ცხოვრება. მართალია, უაზროდ ამეორებინებდნენ ერთსა და იმავეს, მაგრამ ვირი მაინც ბედნიერი იყო. კინოში ბავშვები მონაწილეობდნენ და ისე შეუყვარდათ ვირი, სახელიც კი შეარქევს – ლურჯა. თავისუფალ დროს მასთან ერთად თამაშობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ ბალახს მიუტანდა. ვირიც დაკუნტრუშებდა მათთან ერთად და ძალიან ბედნიერი იყო.

ერთხელ, რეჟისორის საუბარს მოჰკრა ყური, ბავშვებს უხსნიდა:

– „იცით, ბავშვები, ვირი თავის გადაწყვეტილებაში ძალიან პრინციპულია, ამ თვისებას, ზოგჯერ ავ თვისებად უთვლიან, მაგრამ თუ არ აკეთებს რამეს და გაჯიუტდა, ე. ი. ფიქრობს, რომ არასწორია იმის გაკეთება, რასაც ავალებენ. ერთ დროს, ვირი საკულტო ცხოველად ითვლებოდა, იგი რომელილაც აფრიკული ქვეყნის გერბზეა გამოსახული, ზუსტად არ მახსოვს. ძალიან ადრე, ეგვიპტის ქურუმებს ვირის ტყავისგან შეკერილი ტყაპუჭები ემოსათ იმის დასამტკიცებლად, რომ ვირივით ჯიუტი ვარ ჩემს გადაწყვეტილებაში, ჩემს მოძღვრებაში. ისიც კი გახსოვთ, ალბათ, სახარებიდან, მაცხოვარი ვირზე ამხედრებული რომ შევიდა იერუსალიმში“...

ბავშვები გაკვირვებით შესცეკროდნენ რეჟისორს, მისი საუბრიდან ბევრი ვერაფერი გაეგოთ, მაგრამ მაინც სულგანაბულები უსმენდნენ.

ამ ღვთისნიერი ადამიანის საუბარმა ვირს დიდი ხნის ნინ, შუალამისას, ბაგაში ცის გახსნა გაახსენა, თუ როგორ წამოვიდა ციდან ერთი სხივი, ბაგას დაეცა და ჩვილის ხმა გაისმა... საოცარი სანახავი იყო...

„უფლის შვილი, ძე-ლმერთი“ – გაიფიქრა უცბად. ის არასოდეს არ ცდებოდა. მიხვდა, რომ ისეთი ბედნიერი წუთის მომსწრე იყო, რომელიც ბევრს არ რგებია წილად...

მას შემდეგ ოცდათორმეტი წელი გავიდა და აი, იერუსალიმისკენ მიმავალი დამქანცველი გზა... წუთითაც არ ჩაუმუხლია ვირს, არ უღალატია თავისი პატრონისთვის, გრძნობდა, როგორც განვლილი ოცდათორმეტი, ეს გზაც ისეთივე ეკლიანი იქნებოდა, მაგრამ ისიც ჯიუტად იცოდა, რომ ბოლომდე ერთგული უნდა ყოფილიყო, თუმცა, რაღაც ავი წინათვრნობა უღრღნიდა ფიქრებს...

აი, გოლგოთაც... აქ, უკვე იძულებით გააცალეს და ისიც, შორისახლო მიჰყებოდა მის პატრონს, ხედავდა, რა მძიმე ჯვარი ჰქონდა აკიდებული, როგორ წაიბორდიკა რამდენჯერმე და ნატრობდა:

„ლმერთო, მომეცი ნება, მისი ჯვარი მე ვზიდო დანიშნულ ადგილამდე, ის ფიზიკურად სუსტია, ვერ გაუძლებს, მე კი, მიჩვეული ვარ“.

„ყველას თავისი ჯვარი აქვს საზიდი“, – თითქოს შორიდან ჩაესმა... თვალებიდან ლაპალუპით სცვიოდა ცრემლები, ბლანტმა სითხემ სახე დაულტო, უკვე ველარაფერს ხედავდა და ვერ გაეგო, ეს ცრემლი იყო თუ სისხლი?.. მხოლოდ, სამსჭვალზე ბლაგვი საგნის ხმამ გამოაფხიზლა...

ვირმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, მთელი ცხოვრება თავდახრილმა რომ გაატარა, თავის მაღლა აწევას ახლა შეეცადა, უნდოდა, უკანასკნელად შეეხედა პატრონისთვის... მღვრიე ბურანში ჯვარზე გაკრული მაცხოვარი დაინახა, რომელსაც



3 თ ე ბ ა დ



ქადაგი მადმინიშვილი

დავარისხოთ ზარი

ნაწილარი ომა რომ შეისწორა ქარჩა,
ჩამოტეხა მხრეზი კად აზიდულ ალვას.
გაფაფარა ზექ ლოუბლის ქულამ, ქავჩა,
ლოუბლის ჩრდილქვეშ აღეს გაიარა მგზავრა.
შემოევლო ლონეს ძეძვი, უკალ-შარმად,
აკავნესა ზარი შასახმა ქალმა!
კიდევ დიდხანს იდენს გულში წრემლი მალვით?!
შეესია ფუძეს მყმლი! მლილი! მავრი!
მდელო, სანახერო, ზვრებონ ვენახების,
ქეფებისამოშლილონ გორაკებო, მთების.
კარავ მინავლულო, ალიონს ცერ ხვდები...
ოდავ ნაქუჯულო, ფეხზე ველარ დგენი!
ზოუნავენ საფლავში ნინაპართა ძვლები...
ლოკურინის დარად ნაჭუჭურში ვძვრებით!
გაიჩეხა ტყე-ლრე, გაილენა ყანა,
იყიდება მინა, ქრება ეს ქვეყანა!
გაიცარა დედა უქხოეთის ქარმა...
არ ილონა არნა, მის საპელად ქმარმა!
რამ მოგვაშოო ასრე, მივაჭოვეთ ლმერთი!
დავარისხოთ ზარი სალვოსიერეთი!
ეგერ, ალვაფგინოთ კერის დედაბოძი,
მოვრჩეთ უსიამო სიტყვით ენის ზორძიყს!
ისევ ბრუნავს მინა... კავლავ ანათე, მზეო...
ალვაფგინოთ საერო სამზეო!

* * *

(ეკა შაქრაძეს)

უსახურ უამისგან
დაძენძილ ნანილებს
ვაგროვებ... და ვისხამ
ჩემს ლვოლურ ძალ-ჩონჩხზე...
ჩავშვომას ყოველფლე
წრემლებით ვაწილებ
და ვრფილობ, წხოვრებას
ნამით არ ჩამოვრჩე...
ერთ წრეზე ზოუნვაში
ვათენებ, ვალამერ...
და გვიან მივხვდი, რომ
უხოვრება ომია...
მსურს გრძოლა მანამდე,
სანამ არ მოვიგებ...
მანამდე, ვიდრე ლვოის
ნერილი მომივა!
დღეს კი... დღეს,
მე, ჩონჩხით
ინვალიდს გონება
კავლავ მერჩის...
ალრთ, კავლავ
ლვოის ვათით...
გული ხომ გონების
მუდმივი მფგმურია?!
მოვეფი, რომ შენი
ნაჭიფი რიმების
ზგერათა პალიტრის
მოსმენა მწყურია.

ხელოვნებაზე, პოეზიასა და მშობლიურ სოფელ
წალვლზე შეყვარებული, მოკრძალებული ქალბატონი
პროფესიით ზოოვეტერინარი გახლავთ. ბავშვობიდან
წერს ლექსებს, ჩანახატებს.
ფეხბედნიერი ყოფილიყოს მისი პოეტური დებიუტი.

* * *

ვხედავ უამს უანგიანს,
უფეროს... დაძმნძილს...
ვხედავ ნისლფაფენილ
სივრცისმთლელ
სკულ თვალებს...
წას, მინას, ნიალს, ჰაერს –
მრავალგზის ნაოხარს...
სულებს და სხეულებს –
ნაწეს და ნაწვალებს!
და, მე კი, გრძნეული,
არ ვარგავ კვლავ იმედს
იმ უამის დაფგომის, –
დემონთა დავრფომის!
მოვა დრო სულ-ხორჯის
ფერების ჩვალების,
დრო გარდაუყალი –
ლვთისშვილთა ალფგომის!

(ნალვას)

მიყვარს აისი ჩემი სოფლის, მწველი სხივებით,
ალმართები და დალმართები ქვა-ლორციანი,
მიყვარს ფალები წვარ-ნამული მფელო-სათივით,
ზვრები, სერები, სანახები მთა-გორიანი.
ჩოჩქოლისკარის ლრმა ხევები, ნიარო დამშრალი,
ზზარგაჩენილი საძოვრები დაშლილ გორებით,
ხორცლის ყანები, ლილილოთა წისფერი ტერებით,
ყაყაჩოები – მოლანე სისხლის ტრორები.
მიყვარს დაისი ჩემი სოფლის, ზინდად ქვეული,
მზე ჩამავალი რომ არნებინებს მთების მწვერვალებს,
გულის ფიქრები, ქარიშხალად გადაქუჯული,
მდუმარე ზრგასაუ რომ აძლოოებს და აელვარებს.
უხმო ფიქრებით შემოვივლი ფალებს, სხლიმინებს,
„ფაფოს კალოს“ და „ლაფოს ნიაროს“, „ვერსებს“,
„ჭუჭუხას“...

ხელებს შევახერ გალავნების კირქვებს მგზნებარედ,
ათასწლეულთა ნაკარბუქარს, ნაწვიმ-ნამებარს...
მომენაფრება ჩვენი კინო, ჟურნალების დარი,
მომენაფრება „ნიკოლოზი“, „ლეკი კალია“,
მომენაფრება ყველაფერი, რაჯ ჩემი არი,
ჩემს ლამაზ სოფელს შევავერებ წმინდა მარიამს!
მიყვარს აისი ჩემი სოფლის, სხივ-ანთერული,
მიყვარს დაისი ჩემი სოფლის, ზინდად ქვეული!

* * *

სკული სინათლისათ,
კვარო წხოველისათ,
სძლიე უკეთურებას,
მსახვრალთ ხელით ქმნილსათ...
სამყაროს საორენტავ,
ენავ, ლვთისმშობლისათ!
ზერერთა შექმნილო,
ანდანო, ლვთის ხნისათ!
ზგერავ მარაფიულო,
ქართველო ზორკილო ხსნისათ!
იხმაურე, ივერო!
ივუგუნე, რიონო!
ილრიალე, ენგურო
ამაყო და ძლიერო!..
ქართველის ფეხის სამშობლოვ,
მინავ, ლვთისმშობლისათ!..

თ ა რ გ მ ა ნ ი

იანვრის დამის საიდუმლო –
როგორ მოკვდა პეტრე დიდი

1725 წლის 28 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა რუსეთის გარდამქნელი, იმპერატორი პეტრე I, რომელსაც არ დაუტოვებდა საბუთი იმის შესახებ, თუ ვის ანდობდა იმპერიის მართვის სადავებებს. დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მენშიკოვს, ივანე ბუტურლინს, სენატორ პეტრე ანდრეის ძე ტოლსტიოს, მაგრამ თავისას მიაღწის – ამხილეს მტრული პარტია, რომელსაც ტახტზე სურდა ეხილა მოკლული მეფისნულის ალექსეის შვილი. მუხლმოყრილმა გენერალ-ადმირალმა აპარაკინმა სენატის გადაწყვეტილება გამოაცხადა:

– ეკატერინე უნდა გახდეს იმპერატორი.

1724 წლის 7 მაისს, პეტრე პირველთან მოსკოვის უსპენსკის ტაძარში გვირგვინდადგმულმა, ლიკონელი გლეხის სამუელ სლავარინსკის ქალიშვილმა, შვედი დრაგუნის იოპანე კრუზეს ყოფილმა ცოლმა ეკატერინემ ვერ მოასწრო გამხდარიყ თვითმშეყრობელური რუსეთის გამგებელი, რომ მთელ რუსეთში შავბნელი ჭორი გავრცელდა იმის შესახებ, რომ მეფე მონამდეს. ჭორს სასტიკად ებრძოდნენ, ენაჭარტალებს ენას აჭრიდნენ, მაგრამ დიდხანს იყო ხალხში გავრცელებული ეს აზრი, რომელიც შიშა და მოუსვენრობას ბადებდა.

მანც რა იყო პეტრე I-ის სიკვდილის მიზეზი? – ორმეტრიანი ბუმბერაზი კაცის, ფანტასტიკური ძალითა და საოცარი ამტანობის უნარით რომ იყო დაჯილდოებული და შესანიშნავად უძღვებოდა ლაშერობებსაც, ნადიმებსაც და ურთულეს საქმეებს. კაცისა, რომელიც ყველა თანამედროვეს ანცვიფრებდა სწორუპოვარი ძლიერებით. სიკვდილმა მას სიცოცხლის 53-ე წელზე მოუსწრო. აქედან, 42 წელი, 7 თვე და 3 დღე რუსეთის სამეფო ტახტს მართავდა.

აი, რას წერს პეტრეს დაავადების შესახებ ისტორიკოსი, მრავალტომიანი ნაშრომის „ძველი დროის რუსეთის ისტორია“ ავტორი ს. მ. სოლოვიოვი:

„1724 წლის ზაფხულში პეტრე I-მა იავადმყოფა, მაგრამ სექტემბრის მეორე ნახევარში გამოკეთება დაიწყო – დროდადრო სეირნობდა თავის ბაღში, ცურავდა წევაში. 22 სექტემბრს მას დაემართა ძლიერი გულყრა. როგორც ჩანს, ამგვარმა მდგომარეობამ იგი ძალზედ გააღიზიანა, კარგადაც დაუცაცხანა ექიმებს და ვირები უწოდა. მალე პეტრე ისევ გამოკეთდა.

ნოემბრის პირველ რიცხვებში იმპერატორი სანაოსნო გზით გაემგზავრა პეტერბურგს, მაგრამ ლახტთან დაინახა, რომ კრონშტაბიდან მოცურავდა ჯარისკაცებით სავსე კაპალო, რომელიც მეჩერიზე დარჩა, ვერ მოითმინა და თვითონ გაემართა მათ დასახმარებლად. წელამდე წყალში მდგომ მეფეს გულყრა გაუმეორდა.

ამ არასასიამოვნო მოვლენისა და მისი გამომნვევი შეტევების მიზეზად ისტორიკოსი „შარდის ყაბზობას“ ასახელებდა.

პროფესორ-მედიკოსი პ. ი. კოვალევსკი თავს წიგნში „პეტრე I და მისი გენია“ (1901 წ.) ამტკიცებდა, რომ მეფეს ძალიან აწუხებდა სტრანგურია (შარდის შეჩერება), რომელიც მისი მოულოდნელი სიკვდილის მიზეზი იყო.

ეს მოსაზრებები, პეტრე-ისუროლოგიურისახის ტკივილებთან დაკავშირებით, დაფუძნებულია მეფის თანამედროვეების დამონმებებზე.

გაცილებით უბრალოდ ხსნიდა რუსეთის იმპერატორის ავადმყოფობის ისტორიას საბჭოთა ისტორიკოსი, წითელი პროფესიურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი მ. ნ. პოკროვსკი: „პეტრე გარდაიცვალა სიფილისისაგან. როგორც ჩანს, ჰოლანდიაში დაავადდა, სავარაუდო და დასაშვებია ის ფაქტი, რომ მაშინდელმა ექიმებმა ბოლომდე ვერ განკურნეს“.

და მაინც, რამ გამოიწვია პეტრე დიდის სწრაფი სიკვდილი?

კომენტარს აკეთებს მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი ნ. მ. მოლევა:

„მე-18 საუკუნემ ისტორიკოსებს არაერთი გამოცანა დაუტოვა. ერთი მხრივ, თითქოსდა ყველაფერი ნათელია: პეტრე I-ის სიკვდილთან



დაკავშირებით ბურუსით მოცული ვითარების ირგვლივ არსებობს მის თანამედროვეთა დამონმებები, ისტორიკოსების შრომები, სადაც ალნიშნულია მეფის ქრონიკული დაგვადება, მაგრამ როდესაც უცნობი არქივის დოკუმენტებს ფურცლავ, – ეგრეთნოდებული „სასახლის მცირე კალენდარს“, რომელშიც საათებით და წუთებითაა დაფიქსირებული პეტრე I-ის ცხოვრების ყოფილი ეპიზოდები და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არსებული ოფიციალური ვერსიების გამო, იბადება ბუნებრივი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რასაც თან ერთვის პოლიტიკური სურათი, რომელშიც მოცემულია რუსული სამეფო კარის ძალთა რეალური განლაგება, – მაშინ მეფის განგებ მოკვდინების კონტურები თანდათან უფრო გამოიკვეთება. მივყვეთ თანმიმდევრულად:

პეტრე ისე გარდაიცვალა, რომ არ დაუტოვებია ტახტის მემკვიდრე. მენშიკოვის დიდი მცდელობის შემდეგ, სამეფო ტახტი ეკატერინემ დაიკავა. ვფიქრობ, რომ ეკატერინე განსაკუთრებით არც აცხადებდა პრეტენზიას მეფობაზე. სრული ბედნიერებისათვის მდიდრული სასახლე, გემრიელი საჭმელი და რბილი საწოლი ეყოფილა, მაგრამ მის ზურგს უკან ხაზინის ქურდობაში დადანაშაულებული მენშიკოვი იდგა, რომლის სიცოცხლე ფაქტიურად ბეწვზე ეკიდა. იგი ელოდა გარდაუგალ სასჯელს, რომელიც საკმაოდ მკაცრი იქნებოდა, რადგან პეტრეს არ შეეძლო, ყოფილი მეგობრისათვის ეპატიებინა მრავალ ცოდვათაგან გამორჩეული, უპატიებელი ცოდვა, პირველ რიგში კი, მისი როლი ვილიმ მონსის საქმეში. ბრწყინვალე ოფიცერი, უაღრესად ლამაზი მამაკაცი, დედოფლის სამემკვიდრეო მამულის გამგებლის წოდების მიღების შემდეგ ეკატერინეს კეთილგანწყობით სარგებლობდა, მხოლოდ მდგომარეობის შექმნას ვერ ახერხებდა.

ეკატერინესა და სასახლის კარისკაცის ურთიერთობას ყოველმხრივ მფარველობდა მენშიკოვი. პეტრე „შემთხვევით“ აღმოჩენილი ბარათიდან იგებს მისი ცოლის ლალატის შესახებ, რის შემდეგაც მონსი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ეკატერინეს აეკრძალა ბოლო თვეების განმავლობაში მეფის კაბინეტამდე მიახლოებაც კი. მეფის პირადი ბრძანებით სასწრაფოდ დასრულდა წლების მანძილზე გაფიანურებული საქმე მენშიკოვის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების შესახებ. მენშიკოვი იდგა, რომ მაშინდებელი პეტრეს თამაში მიზეზად დასახელდეს მონამვლა. დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მეფე ურეთრის სტრიქტურით იტანჯებოდა.

და აი, მეფეს ვახშმისას ტკბილეულის ახალი სახეობის გასინჯვას სთავაზობენ, რომელიც მან საჩუქრად მიღიღ. რამდენიმე საათის შემდეგ პეტრე I-მა თავი შეუძლოდ იგრძნო, დაწყობ პირლებინება, ფრჩხილების აშკარა ციანოზი, კიდურების მოდუნება, მუცლის წვა. ხომ ძალზედ საეჭვოა ყოველივე?

სხვათა შორის, ორი წლის შემდეგ, მორთმეული ტკბილეულის გასინჯვისას, მწვავე შეტევის შედეგად გარდაიცვალა ეკატერინეც. ამ პერიოდისთვის იგი უსარგებლო ნივთი გახდა მენშიკოვისათვის და, გარკვეულნილად, ხელსაც უშლიდა მას პოლიტიკურ თამაშში.

და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი: ავადმყოფი პეტრე I-ის საძინებლის შესასვლელშივე მოწყობილი იყო მოძრავი საეკლესიო საკურთხეველი. შეიძლება ეს პატარა დეტალი ვინმეს დაინტერესების საგნადაც არ მოეჩვენოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: საკურთხევლის არსებობის გამო, ოთახში შესვლა ეკრძალებოდათ ქალებს, აგრეთვე, სხვა სარწმუნოების მსახურ ადამიანებს, მართლმადიდებელთა გარდა. ამდენად, იმპერატორთან დაშვებულ პირთა რიცხვი შეზღუდული იყო, როგორც თავისი ქალიშვილებისათვის, ასევე, უცხოელი ექიმებისათვის. ხოლო ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს შეთქმულების ეჭვი, რომელიც პეტრე I-ის ლიკვიდაციის ითვალისწინებდა.”

კომენტარის აკეთებს მედიცინის მეცნიერებათა დოკუმენტი, პროფესიული ლ. ლ. ხუნდანოვი:

„უკიდურესად რთულია, ასწლეულების შემდეგ დაისვას ზუსტი დიაგნოსტიკის მიმართ, ამავე დროს, აუცილებლად მიმართია გავითვალისწინება, რომ პაციენტის სახით, საქმე ისტორიულ პიროვნებასთან გვაქვს. ამიტომ, აუცილებელია თითოეული გამორთქმული მოსაზრების სერიოზული გაანალიზება. და მომხდარის თბილებული შეფასება. იმპერატორის თანამედროვეთა ცნობების წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება პეტრე I-ის სიკვდილის ისტორიის რეკონსტრუირება. ჩვენს ხელთ არსებული მტკიცებულებების არქონის გამო, (ექსპერტიზის ანალიზის შედეგები) არასერიორული მიმართია პეტრე I-ის სიკვდილის მიზეზად დასახელდეს მონამვლა. დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მეფე ურეთრის სტრიქტურით იტანჯებოდა.

ასანიშნავია ის გ